1149/13.532

# ბურჯი ეროვნებისა

უმთავრესი ბურჯი ეროვნებისა

იაკობი

საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

1997 წელი | 12(29) | დეკემბერი • BURJI EROVNEBISA • ფასი 40 თეთრი

## ნიკოლოზ ბარათაშვილი - 180



მწყემსო კეთილო,
შენს წმიდას სამწყსოს
შემოვავედრებ
ჩემსა სამეფოს!
გულთამხილავო,
შენ უწყი, რაც დღეს
საქართველოსა
ჭირნი მოადგეს!
მრავალ არიან,
უფალო, მტერნი
და წარიტაცონ
შენნი ცხოვარნი!
გვესწრაფე
ჩვენო ხელთამპყრობელო,
და აღადგინე დღეს
საქართველო.

ნახატი ლადო გუდიაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბესარიონ ჟორჟენაძის საზოგადოების გაზეთი
მთავარი რედაქტორი
გიორგი გოგოლაშვილი

მთავარი რედაქტორის მოადგილე
იოსებ ჭუმბურიძე

დირექტორი
მირიან ხაჭვანი

რედაქტორები:
ციცინო (ნინო) კვანტალიანი,
მარინე კოკონიშვილი,
ნანა ლოლაძე
რამაზ ჭურღაძე
ნინო ჭუმბურიძე

მხატვრული რედაქტორი
ილია ჭრელაშვილი

რედაქციის გამგე
მაია კობიაშვილი

სარედაქციო საბჭო
გენადი ბურჭულაძე
კახა გაბუნია
ლეილა გეგუჩაძე
ქეთევან დათუკიშვილი,
რუსუდან ლანდია,
ნანა ურთაშვილი,
ჯაბუკა ქორია,
მიხეილ ქურდიანი,
გიორგი წიბახაშვილი,
თამაზ ხმალაძე
ნინო ჯორბენაძე

მორიგე რედაქტორი
მარინე კოკონიშვილი

გაზეთი
„ბურჯი ეროვნებისა"
რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში, 1686.
მისამართი:
პ. ინგოროყვას ქ. №8,
ტ. 99-80-46

ინდექსი 76016

სიტყვით სავსე ქართული

**ნიკო ლორთქიფანიძე**

# საშობაო მინიატურები



*იქ, სადღაც შორს, ბეთლემში ცხრამეტი საუკუნის წინათ, ცა მოჭედილ ღამეს მღვიმეში დაიბადა იესო, ძე ქალწულის მარიამისა, მაშვრალთა იმედი და ნუგეში, ტანჯვის შემამსუბუქებელი, სიკვდილითა სიკვდილის დამთრგუნველი...*

*აქ კი... დღეს...*

## სარეცელზე

– ნუ გეშინია, შვილო, ექიმმა თქვა ყველაფერი აჯამეთ, რაც კი მოისურვოსო. პირში მაინც გამოივლე შაქრის ყინული... ტკბილია... გიამება. აი ამ ანგელოზის ქანდაკებას მოკიდე ხელი... მთელ ქალაქში ერთი იყო და შენ მოგიტანე. ნუ გეშინია, შვილო, დამშვიდდი! აი ასე, ასე ამოისუნთქე... გაგივლის. ახლა უმწვერვალესი წუთია ავადმყოფობისა, აი, ახლავ დაგიკლებს სიცხე...

ბავშვის პატარა ხელებს მოხვდა ცივი მარმარილოს ქანდაკება; იამა, გახურებულ მკერდზე მიიკრა და გაყუჩდა ბავშვი. დედა კი ნელა უსვამდა ხელს ოფლიანს შუბლზე, უსწორებდა გაჩეჩილ თმას. მერმე ჩაიკეცა და მიითვლიმა.

აგონდება ქალს პირველი ამბორი – განა ეს გარდაქმნა არ იყო.

აგონდება ქალს, როგორ დაიძრა სხეულში ახალი ადამიანი.

აგონდება ქალს, როგორ ტანჯვათა შორის ქვეყნად იშვა მისი ბიჭი, ახლა კი, ამ შობის ღამეს, როგორ წაართმევს ღმერთი?!

ბავშს კი გულში მაგრა ჩაუკრავს ანგელოზის ქანდაკება, სუნთქვა უსუსტდება და ნელ-ნელა ახალ ცხოვრებას იწყებს.

## საქართველო იყიდება

იყიდება საქართველო. მინდორველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათესით; წარსულის ისტორიით, მომვალი სვე-ბედით; მშვენიერის ენით; ნაქარგი ფარჩა-ხავერდით; ვაჟკაცური ხასიათით, სტუმართმოყვარეობით, დიდებულის სანახაობით, წმინდა ჰაერით; ნაამაგევი სა-

ხლით და კარით; ჩუქურთმიანი მონასტრებით და ეკლესიებით; მჩქეფარე ნაკადულებით; ლურჯის ზღვით; მოწმენდილ-მოკაშკაშებული ცით; ერით, ბერით; თვალწარმტაც ბანოვანთა გუნდებით; გონებაგახსნილ ვაჟებით; მალხაზი ბავშვებით; ვერცხლისფერ თმით შემოსილ პატივსადებ მოხუცებით. იყიდება საქართველო დედით და მამით, შვილით და ძირით, ძმით, დით, ცოლით და ნათესავ-მოყვრებით.

ჰყიდის ყველა: თავადი, მღვდელი, ვაჭარი, ავაზაკი, დიდი და პატარა, ჭკვიანი და სულელი, ლოთი და პირაკრული.

იყიდება ყველგან: ქუჩაში და სახლში, თეატრში და სასამართლოში, სასწავლებელში, სატუსაღოში, ეტლში, მატარებელში, დილით და ღამით, სიცხეში და სიცივეში, დარში და ავდარში.

იყიდება ერთიანად: შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე და ოსეთიდან სპარსეთამდე. იყიდება ნაწილ-ნაწილ: კახეთი და იმერეთი, ქართლი, სვანეთი და სამეგრელო, გურია და ლეჩხუმი, რაჭა და ჯავახეთი. იყიდება პატარ-პატარა ნაჭრებათ, ვისაც რამდენი სურს და როგორც უნდა: ნისიათ, უფასოდ, ნაღდად, დროებით და სამუდამოთ: ბანკის საშუალებით და ჩვენის დახმარებით.

იყიდეთ ბარემ მთლად, გაწეწეთ და გაგლიჯეთ, რასაც საქართველო ერქვა და რაც დღეს ოხრადდარჩენილი აძლებს ყორნებს და გულს უკლავს უძლურ ჭირისუფალს!

# ბრმა თერძი

ხელის ფათურით მონახა ლევანა თერძმა კარების გასალები, შეჩერდა, რაღაც გადაწყვიტა და კარები გააღო. სუფთა, ცივმა ქუჩის ჰაერმა, თითქოს შიშით დაიხია უკან და გზა მისცა შმორის და ოფლის სუნით გამსჭვალულს ოთახის ჰაერს.

- ქალო, გზა გამიკვლიე, ვერას ვხედავ!...

- ჩუუ!... - იმავე წამს უპასუხა ვილაცამ,- მოიტა ხელი აბა, ფეხაკრეფით, ბავშვები, როგორც იქნა, დავაძინე,- ფუჩუნით ეუბნებოდა დამხდომი.- ეცადე, ლოგინის კიდეზე მოეთავსო, ბავშვები კედლისკენ დავაწვინე.

- სუფრასთან მიმიყვანე. რომ გაიღვიძონ, რაღა ვქნათ, არაფერი მომიტანია, ქალო!

- რატომ?- ყრუდ ჩაეკითხა ქალი.

- რატომ? რატომ? რატომ და თვალი აღარ ჭრის; ჩემი გავლებული გვირისტი სულ დასარღვევი გაუხდათ. დუგმები უკუღმა დავაკერე. გამლანძღეს, გამათრიეს და ისე გამომიშვეს... სამართლიანადაც. რათ ჩავიდგი შენს ცოდვაში ფეხი. რათ მოვიკიდე მისუსტებულ ზურგზე სამი ადამიანის სვებედი. მთლად დავბრმავდებოდე მაინც... თავშესაფარში მიმიღებდნენ...

- არაფერია, კაცო, ნუ გმობ ღმერთს...

- არ ვგმობ, პირიქით, თაყვანსა ვცემ მის კანონს... ღირსი ვარ, მე ყველაფრის ღირსი ვარ, მაგრამ თქვენ... თქვენ?! ხვალ ძაღლებიც კი ხორცით გაძღებიან: ზოგს გადაუგდებენ, ზოგიც მოიტაცებს... თქვენ კი? ნაცრიანი მჭადი მაინც გქონდესთ.

- დედა, მოვიდა მამა?- კნავის მისუსტებული ხმით ბავში...

ბრმა თერძის ავადმყოფ თვალებს სწვავს ცრემლები...

*იქ, სადღაც შორს, ბეთლემში, ცხრამეტი საუკუნის წინათ, ცამოჭედილ ღამეს დაიბადა იესო, ძე ქალწულის მარიამისა, მაშვრალთა იმედი და ნუგეში, ტანჯვის შემსუბუქებელი, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი...*

*აქ კი... დღეს...*

ეროვნული ბიბლიოთეკა



21 ნოემბერი (ახალი სტილით 4 დეკემბერი) – ტაძრად მიყვანება ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისა.

22 ნოემბერი (ახალი სტილით 5 დეკემბერი) – ხსენება წმინდა მართლმორწმუნე მთავრის მიხეილ ტვერელისა.

23 ნოემბერი (ახალი სტილით 6 დეკემბერი) – ხსენება წმინდა მღვდელმოწამე არქიმანდრიტ გრიგოლისა, ოსვენციმის ბანაკში აღსრულებულისა.

25 ნოემბერი (ახალი სტილით 8 დეკემბერი) – ხსენება წმინდა მღვდელმოწამე კლიმენტი რომაელისა.

30 ნოემბერი (ახალი სტილით 13 დეკემბერი)– ხსენება წმინდა და ყოვლადქებულ მოციქულ ანდრია პირველწოდებულისა, დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასალისა.

4 დეკემბერი (ახალი სტილით 17 დეკემბერი) – ხსენება დიდმოწამე ბარბარესი.

6 დეკემბერი (ახალი სტილით 19 დეკემბერი) – ხსენება წმინდა ნიკოლოზ საკვირველმოქმედისა

13 დეკემბერი (ახალი სტილით 26 დეკემბერი) ხსენება მღვდელმთავარ გაბრიელისა, იმერეთის ეპისკოპოსისა

# წმინდა მღვდელმთავარი კლიმენტი რომაელი

წმინდა მღვდელმთავარი **კლიმენტი** მდიდარ და წარჩინებულ რომაელთა ოჯახში დაიბადა. იგი ბავშვობიდან თავის მშობლებს მოშორებული უცხო ხალხში იზრდებოდა. რომში ჭაბუკმა ბრწყინვალე განათლება მიიღო. იგი სიმდიდრითა და ფუფუნებით ატარებდა ცხოვრებას და იმპერატორის სასახლის კარითაც მეტად დაახლოებული იყო. მაგრამ ჭაბუკს არც თავისი ასეთი ცხოვრება მოსწონდა და არც წარმართული სიბრძნე იტაცებდა. მალე იესო ქრისტესა და მისი მოძღვრების შესახებ ხმებმა რომშიც მაღწია. წმინდა კლიმენტიმ მშობლიური სახლი მიატოვა და იქით გაემგზავრა, სადაც ღვთის სიტყვას წმინდა მოციქულები ქადაგებდნენ. ალექსანდრიაში იგი წმინდა **მოციქულ ბარნაბას** შეხვდა და დიდი გულისყურით მოისმინა მისი ქადაგებანი. იგი ღვთის სიტყვის ძალამ და ჭეშმარიტებამ ძლიერ დაარწმუნა. წმინდა კლიმენტი მალე პალესტინაში ჩავიდა და იქ **პეტრე მოციქულისაგან** მიიღო ნათელი. ამ დროიდან იგი პეტრე მოციქულის თავდადებული მოწაფე და მუდმივი თანამგზავრი გახდა. იგი თავისი მასწავლებლისა და მოძღვრის ყველა საქმისა და ჯაფების თანაზიარი იყო. თავის მოწამეობრივ აღსასრულამდე ცოტა ხნით ადრე პეტრე მოციქულმა წმინდა კლიმენტის რომის ეპისკოპოსად დაასხა ხელი. 92 წელს კი იგი რომის კათედრაზე აირჩიეს.

წმინდა პაპის კლიმენტის სათნო ცხოვრებამ და ლოცვებმა ქრისტეს სჯულზე მრავალი რომაელი წარმართი მოაქცია. ერთხელ, ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულზე მან ერთდროულად 424 ახლადმოქცეული მონათლა.



წმ. კლიმენტი რომაელი.
ხატმწერი მაკა ჩხაიძე

წმინდა კლიმენტის ქადაგებებით შეშფოთებულმა [illegible] იგი იმპერატორ ტრაიანესთან დაასმინეს და წარმართულ ღვთაებათა გმობაში დაადანაშაულეს. წარმართმა იმპერატორმა წმინდანი რომიდან გააძევა და ყირიმში ქალაქ ხერსონის მახლობლად ინკერმანის ქვის სამტეხლოზე სამუშაოდ გაასახლა. წმინდა მღვდელმთავარს გადასახლებაში ბევრი მოწამე გაჰყვა, რომლებმაც თავიანთ მოძღვართან დაშორებას მასთან ერთად გადასახლება ამჯობინეს. ინკერმანის ქვის სამტეხლოებზე უმძიმეს პირობებში ბევრი მორწმუნე ქრისტიანი მუშაობდა. სასმელი წყალი მათ თითქმის არ ჰქონდათ. წმინდა კლიმენტიმ ამ ტყვეებთან ერთად ილოცა. მორწმუნეებს ტარიგის სახით თვით უფალი გამოეცხადა და მდინარე მოუვლინა. ამ სასწაულმა მღვდელმთავარ კლიმენტისთან კიდევ უფრო მეტი ხალხი მოიზიდა. წმინდა მქადაგებლის სიტყვით ქრისტეს სჯულზე ასობით წარმართი მოიქცა. მისი ხელიდან წმინდა ნათელს ყოველდღიურად 500 და ზოგჯერ უფრო მეტი კაცი იღებდა. მორწმუნეებმა ქვის სამტეხლოზე კლდეში ღვთის ტაძარი გამოკვეთეს, რომელშიც წმინდა მღვდელმთავარი საღმრთო ლიტურგიას აღასრულებდა.

წმინდანის მოციქულებრივმა მოღვაწეობამ იმპერატორი ტრაიანე მეტად განარისხა და მან წმინდა მღვდელმთავრის ზღვაში დახრჩობა ბრძანა. მართლაც, წმინდა მოწამეს ყელზე მძიმე ღუზა გამობეს და ზღვაში გადააგდეს. ეს მოხდა 101 წელს.

მღვდელმთავრის მოწაფეების – კორნელისა და თებეს, – და აგრეთვე მთელი მორწმუნე ხალხის ლოცვა-ვედრებით ზღვამ უკან დაიხია და მათ, ზღვის ფსკერზე, ხელთუქმნელ ტაძარში წმინდა კლიმენტის სხეული უხრწნელად იხილეს. ამის შემდეგ ყოველწლიურად, მღვდელმთავარ კლიმენტის მოწამეობრივი აღსასრულის დღეს ზღვა უკან დაიხევდა ხოლმე და 7 დღის მანძილზე მორწმუნეები ხელთუქმნელ ტაძარში მიდიოდნენ და წმინდანის წმინდა ნაწილებს თაყვანს სცემდნენ.

მე-9 საუკუნეში, კონსტანტინოპოლელ იმპერატორ ნიკიფორეს დროს, ღვთის განგებით, ამ სასწაულის აღსრულება 50 წლით შეწყდა. მცირეწლოვან იმპერატორ მიხეილისა და დედამისის თეოდორას გამეფების ჟამს ქალაქ ხერსონს სლავების განმანათლებლებმა, მოციქულთასწორმა წმინდა ძმებმა **კირილემ** და **მეთოდემ** მოინახულეს. მათ ხერსონის ეპისკოპოს გიორგის უფლისადმი საერთო ლოცვის აღვლენა სთხოვეს, რომ მას მღვდელმთავრის წმინდა ნაწილები ხალხისათვის კვლავ მისაწვდომი გაეხადა.



ერთობლივი ლოცვა-ვედრების შემდეგ, შუაღამისას ზღვის ფსკერზე სასწაულებრივად გამოჩნდა მღვდელმთავარ კლიმენტის წმინდა ნაწილები, რომელიც ხერსონის წმინდა მოციქულთა ეკლესიაში დიდი ზეიმით გადაასვენეს.

წმინდა მღვდელმთავარ კლიმენტი რომაელის ხსენებას დიდი პატივისცემით აღნიშნავენ მართლმადიდებლები.

რუბრიკას უძღვება ნინო ჭკანტალაძე

ადიდებს სული ჩემი უფალსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ერის სულიერი მამები

# წმინდა მღვდელმოწამე არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე

1995 წლის 19, სექტემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებულ კრებაზე სექტემბერში, წმინდა მღვდელმოწამე თევდორესთან ერთად წმინდანებად იქნენ შერაცხილნი ახალი დროის ღვაწლმოსილი საეკლესიო მოღვაწენი: გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე), ალექსანდრე ეპისკოპოსი (ოქროპირიძე), ალექსი ბერი (შუშანია), კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია); ჩვენი საუკუნის მღვდელმოწამენი, დახვრეტილნი 1924 წლის აგვისტოს მიწურულში – ნაზარი მიტროპოლიტი (ლეჟავა) სამღვდელო კრებულითურთ, და 1942 წლის 6 დეკემბრის სუსხიან დღეს ოსვენციმის ბანაკში მოწამებრივად აღსრულებული არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე.

ქართველი ერისა და ეკლესიის ისტორიაში ამ უმნიშვნელოვანესი აქტის ერთი მთავარი მიზანი იყო ჩვენი რწმენადაკარგული და ცოდვებით დამძიმებული საზოგადოების, ჩვენი მშფოთვარე და გზააბნეული ახალგაზრდობის სულიერი განწმენდა და აღზრდა. რადგანაც სწორედ ამ ჭეშმარიტ მოღვაწეთა მოწამებრივი აღსასრულისა თუ ღვაწლშემოსილი ცხოვრების მნიშვნელობის გაცნობიერებაა ერის სულიერი და ზნეობრივი ხსნისა და გადარჩენის ერთადერთი სწორი გზა.

გრიგოლ ფერაძე დაიბადა 1899 წლის 31 აგვისტოს, ბაკურციხეში, მღვდელ რომანოზ ფერაძის ოჯახში.

მამა ადრე, ექვსი წლისას გარდაეცვალა და დედამ, სალომე სამადაშვილმა (რომელსაც სამი ვაჟი დარჩა გასაზრდელად), იგი მამის კვალზე დააყენა: გრიგოლმა სწავლა დაიწყო თბილისის სასულიერო სასწავლებელში, ხოლო 1918 წელს სასულიერო სემინარიაც დაამთავრა. ამავე წელს იგი ახლადდაარსებული თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. 1921 წლის ნოემბერში კი ივანე ჯავახიშვილის წარდგენის საფუძველზე საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს დადგენილებით გრიგოლ ფერაძეს თეოლოგიური განათლების მისაღებად გერმანიაში აგზავნიან.

1922 წლის მაისში გამოცდების ჩაბარების შემდეგ იგი ჩაირიცხა ბერლინის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა თეოლოგიის მაგისტრის ხარისხით. 1925 წლის მაისში იგი გადავიდა ბონის უნივერსიტეტში, სადაც სწავლობდა რელიგიის ისტორიას და იღრმავებდა ცოდნას კლასიკურსა და აღმოსავლურ ენებში. 1926–27 წლებში სწავლობდა ბრიუსელში ცნობილი ქართველოლოგის, პაულ პეეტერსის ხელმძღვანელობით.

1927 წლის 12 დეკემბერს გრიგოლ ფერაძეს ქართული ბერობის ისტორიაზე დაწერილი ნაშრომისათვის მიენიჭა ფილოსოფიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

1927 –32 წლებში გრიგოლ ფერაძე ბონის უნივერსიტეტში ქართულ-სომხური ფილოლოგიის პრივატ დოცენტად მუშაობდა, ხოლო 1933 წელს კი სრულიად პოლონეთის მიტროპოლიტის დიონისეს მიწვევით ვარშავის უნივერსიტეტში პატროლოგიის პროფესორის მოადგილის თანამდებობაზე დაიწყო მუშაობა. გრიგოლ ფერაძე ხელმძღვანელობდა ვარშავის უნივერსიტეტის „მართლმადიდებლური თეოლოგიის სტუდენტური საზოგადოების" სამეცნიერო სექციას, კითხულობდა სამეცნიერო მოხსენებებს აღმოსავლურ პატროლოგიაში და „უადრესად ეროვნული იყო ეკლესიის მამათა ტრადიციებისა, რაც მრავალგზის დადასტურდა მის პუბლიკაციებში. ცდილობდა გამოემუშავებინა სტუდენტებისათვის მამათა ტექსტებზე მუშაობის ჩვევები, რჩევითა და საქმით მუდამ მხარში ედგა სრულიად პოლონეთის მიტროპოლიტს – დიონისეს, რომელსაც სურდა გრიგოლ ფერაძე ეპისკოპოსის ხარისხში აეყვანა" (ჰ. პაპროცკი). მართლმადიდებელი თეოლოგიის განვითარებისა და დასავლეთ ევროპაში ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წარმოჩენისა და წარმოდგენის თვალსაზრისით, იგი დიდ მუშაობას ეწეოდა გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთსა და პოლონეთში.

გრიგოლ ფერაძე ხშირად კითხულობდა მოხსენებებს სამეცნიერო კონფერენციებსა და ევროპის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებში – პარიზში, ვენაში, დუბლინში, ოქსფორდში, ბონში და სხვა. მთელ თავის სახსრებს ახმარდა სირია-პალესტინაში, საბერძნეთში ათონის მთასა და თესალონიკში, ბულგარეთში, ავსტრიაში, რუმინეთში, იტალიასა და ინგლისში მოგზაურობას ქართული საეკლესიო ხელნაწერებისა და ქართული ეკლესიის ისტორიის მასალების მოსაძიებლად. მისი ღვაწლითა და ზრუნვით ბევრი ქართული ხელნაწერი და განძი გადარჩა. მათ შორის, ქართული საეკლესიო განძეულობაც, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გატანილი საფრანგეთში. იგი იყო გერმანელების ექსპერტი ამ განძეულობის შეფასებისას. მისი დასკვნით ეს განძი არავითარ მატერიალურ ღირებულებას არ შეიცავდა, მხოლოდ-ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა. ერთი ყუთიც რომ გაეხსნათ, მას სიკვდილი არასცდებოდა. გრიგოლ ფერაძემ ათონის წმ. მთაზე აღმოაჩინა ღირსმოწამეთა ანტონის, იოანესა და ევსტათეს წამების ბერძნული ვერსიები, 1936 წლის აგვისტო-სექტემბერში იმოგზაურა წმ. მთაზე და სირიაში, საიდანაც ჩამოიტანა VI-VII სს. ქართული პალიმფსესტები, 1937 წ. ქართულ ხელნაწერებს სწავლობდა იტალიასა და ავსტრიის ბიბლიოთეკებში. ვენაში აღმოაჩინა დიონისე არეოპაგელის აპოკრიფული მიმართვის ქართული ვარიანტი პეტრე და პავლე მოციქულების

7

6 მოწამეობრივ სიკვდილზე. ლაიპციგის უნივერსიტეტში- იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ალაპების ე.წ. ტიშენდორფისეული ნუსხა, სოფიის საჯარო ბიბლიოთეკაში გამოავლინა პეტრიწონის ქართული მონასტრის ტიპიკონის ხელნაწერი, რომელიც მანამდე სომხურად იყო მიჩნეული.

თავის სამშობლოდან – საქართველოდან დევნილი (უარყოფილი იქნა მისი თხოვნა სწავლის დასრულების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებისა. აკრძალული იყო მისი სახელის ხსენება, დამოწმება მისი სამეცნიერო შრომებისა), გრიგოლ ფერაძე ნაყოფიერ მეცნიერულსა და პედაგოგიურ მუშაობას ბუნებრივად უხამებდა საეკლესიო მოღვაწეობას. 1929 წელს მან პარიზში დააარსა წმ. ნინოს სახელობის ქართული ეკლესია, რომელიც დღესაც ერთადერთი ქართული ეკლესიაა ევროპაში.

1931 წლის 18 აპრილს ბერად აღკვეცა (აქ წარმოდგენილი ფოტო გადაღებულია ბერად აღკვეცის მესამე დღეს – რედ.) ლონდონის წმ. სოფიის ბერძნულ საკათედრო ტაძარში. იქვე 19 აპრილს ეკურთხა დიაკვნად, ხოლო 25 მაისს მღვდლად პარიზის წმ. სტეფანეს სახელობის ბერძნულ საკათედრო ტაძარში. გრიგოლ ფერაძე იყო პირველი წინამძღვარი თავის მიერ დაარსებული წმ. ნინოს სახელობის ეკლესიისა, სადაც პირველი წირვა 1931 წლის 31 მაისს აღასრულა. პარიზში დააარსა სამრევლო ჟურნალი „ჯვარი ვაზისა", რომელიც 1931–34 წლებში გამოდიოდა მისი რედაქტორობით.

1934 წლის 5 იანვარს ლონდონში, წმ. სოფიის ბერძნულ საკათედრო ტაძარში, გრიგოლ ფერაძე არქიმანდრიტად აკურთხეს. ამავე წლის მაისში პოლონეთის მიტროპოლიტ დიონისეს დავალებით დუბლინის ეპისკოპოსმა საბამ იგი მიტრით შეამკო. მიუხედავად იმისა, რომ ვარშავაში ცხოვრობდა, მამა გრიგოლი ერთგულად ემსახურებოდა პარიზის ქართულ მრევლს საშობაო, სააღდგომო მარხვების, დღესასწაულებისა და საზაფხულო არდადეგების დროს. მისი უკანასკნელი ხელმოწერა ქართული წმ. ნინოს ეკლესიის სამეტრიკო წიგნში 1939 წლის 6 იანვარს არის ფიქსირებული.



1942 წლის სექტემბერში გრიგოლ ფერაძე გესტაპომ დააპატიმრა. მის ბინაზე ჩატარდა ყოვლისმომცველი ჩხრეკა, რის შედეგადაც გაქრა ის ძვირფასი ძველი ქართული ხელნაწერები, რომლებზედაც იგი მუშაობდა.

დაპატიმრების უშუალო მიზეზი გახდა ის, რომ მამა გრიგოლი ეხმარებოდა ფაშისტებისაგან დევნილ ებრაელებს. ზოგი იმასაც იხსენებს, რომ იგი გასცა „ერთ-ერთმა მისიანმა". მამა გრიგოლი ჩასვეს ვარშავის ციხეში, პავიაკში, საიდანაც იმავე წლის ნოემბრის დამდეგს გადაგზავნეს ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში. ოფიციალური გერმანული ცნობების თანახმად, გრიგოლ ფერაძე გარდაიცვალა 1942 წლის 6 დეკემბერს, 6 საათსა და 45 წუთზე, ოსვენციმში.

არსებობს ორი ვერსია მისი მოწამეობრივი აღსასრულისა. ერთი ასეთია: 1942 წლის დეკემბრის სუსხიან დღეს ოსვენციმის ბანაკის სამი ბარაკიდან გამოუყვანიათ პატიმრები და ყინვაში თითქმის შიშვლები დაუყენებიათ მუქარით, რომ მანამ გააჩერებდნენ, სანამ არ აღიარებდნენ, ვინ მოიპარა პური. არქიმანდრიტი გრიგოლი წინ გამოსულა და მიუმართავს გესტაპოს ოფიცრისათვის „შეასრულეთ თქვენი საქმე". შემდეგ მიბრუნებია ჩამწკრივებულ პატიმრებს და უთხოვია ელოცათ მისთვის. ნაცისტებს ჯერ ძაღლები მიუსევიათ, მაგრამ მათ პირი არ უხლიათ მამა გრიგოლისათვის. ამის შემდეგ ნაცემი გადაუსხამთ და ცეცხლი წაუკიდებიათ.

მეორე ვერსიის მიხედვით კი, როცა გაზის კამერაში აგზავნიდნენ ებრაელების მორიგ პარტიას, მამა გრიგოლი შენაცვლებია ერთ-ერთ მრავალშვილიანს, რომელიც სასოწარკვეთილებაში იყო ჩავარდნილი.

ორივე შემთხვევაში მისი აღსასრული ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში, როგორც მისი ბიოგრაფი, პოლონელი მღვდელი ჰენრიკ პაპროცკი წერს, არის მოწამეობა უფლის სიტყვებისა „უფროსი ამისი სიყვარული არავის აქუს, ვითარცა თავი თჳსი დადვას მოყუასთა თჳსთათჳს".

მასალა მოამზადა ჟამანა მელიქიშვილმა

## აბიტურიენტის გვერდი



# რიცხვითი სახელი

**რიცხვითი სახელი** ეწოდება ისეთ სიტყვას, რომელიც „საგანს განსაზღვრავს რაოდენობისა ან რიგის მიხედვით, ან კიდევ საგნის ნაწილს გამოხატავს მთელთან შეფარდებით" (ა. შანიძე). ამის მიხედვით გვაქვს **რაოდენობითი, რიგობითი** და **წილობითი** რიცხვითი სახელები.

**რაოდენობითია** სახელი, რომელიც აღნიშნავს საგნის რაოდენობას: ორი (მეგობარი), ცხრა (ძმა), ოცი (საუკუნე), მილიონი (ვარდი)... იგი მოუგებს კითხვაზე: რამდენი?

რიცხვითმა სახელმა შეიძლება აღნიშნოს **გარკვეული** რაოდენობა: სამი, ხუთი, ათი, ასი... მაგრამ შესაძლოა რიცხვითი სახელით **გაურკვეველი** რაოდენობა იქნეს გადმოცემული: მრავალი, ბევრი, ცოტა...

გარკვეული რიცხვის აღმნიშვნელი რაოდენობითი რიცხვითი სახელები, ჩვეულებრივ, ისეთი საგნის სახელთან იხმარება, რომლის დათვლაც შესაძლებელია: შვიდი ვაშლი, თხუთმეტი წიგნი, ხუთი სანთელი... ისეთ „უთვლად" არსებით სახელებთან კი, როგორიცაა: სილამაზე, სიკეთე, ქვიშა, ფქვილი და ა.შ., გარკვეული რიცხვის აღმნიშვნელ სახელებს, ცხადია, ვერ ვიხმართ.

გარკვეული რიცხვის აღმნიშვნელი სახელები **თვლის ერთეულებია**. მათი მნიშვნელობა შეიძლება ციფრებით გამოვხატოთ: ერთი– 1, ცხრა– 9, ჩვიდმეტი– 17, სამოცი – 60, ათას ხუთასი – 1500 და ა.შ. გაურკვეველი რიცხვის აღმნიშვნელ სახელებს კი ციფრებით ვერ გამოვხატავთ.

თუ რაოდენობით რიცხვით სახელებს გავაანალიზებთ აგებულების (შედგენილობის) თვალსაზრისით, აღმოჩნდება, რომ ზოგიერთი მათგანი მარტივია (ერთ–ი, ორ–ი, სამ–ი, ოთხ–ი... ათ–ი, ოც–ი, ას–ი, მილიონ–ი), ზოგიც რთული ([ა]თ–ოთხ–მეტი, ოც–და–ხუთ–ი, სამ–ოც–ი, ათ–ას–ი...).

თქვენ, ცხადია, მიხვდით, რომ რთული რიცხვითი სახელები ორი ან მეტი ფუძის შეერთებითაა მიღებული. ამ შეერთების შედეგად ბევრ მათგანში ფონეტიკური (ბგერითი) ცვლილებებია მომხდარი. გავეცნოთ ამგვარ რიცხვით სახელებს.

| ძველად გვქონდა: | ამჟამად გვაქვს: |
|---|---|
| ათ–ერთ–მეტ–ი | თერთმეტ–ი |
| ათ–ორ–მეტ–ი | თორმეტ–ი |
| ათ–სამ–მეტ–ი | ცამეტ–ი |
| ათ–ოთხ–მეტ–ი | თოთხმეტ–ი |
| ათ–ხუთ–მეტ–ი | თხუთმეტ–ი |
| ათ–ექვს–მეტ–ი | თექვსმეტ–ი |
| ათ–შვიდ–მეტ–ი | ჩვიდმეტ–ი |
| ათ–რვა–მეტ–ი | თვრამეტ–ი |
| ათ–ცხრა–მეტ–ი | ცხრამეტ–ი |

როგორც ვხედავთ, ყველა შემთხვევაში დაკარგულია ათ–ი რიცხვითი სახელის ფუძის თავკიდური ა ხმოვანი, „ცხრამეტ"–ის შემთხვევაში კი – მთელი პირველი მარცვალი (ათ), „ცამეტ"–სა და „ჩვიდმეტ"–ში, ბგერათა დაკარგვასთან ერთად (ა–ს გარდა, „ცამეტ"–ში მ–ც არის დაკარგული), მომხდარია ბგერათშერწყმა: თ+ს=ც, თ+შ=ჩ; ხოლო „თვრამეტ"–ში ვ ბგერაა რ–ს წინ გადასმული.

კიდევ რამდენიმე რიცხვითი სახელი გავაანალიზოთ აგებულების თვალსაზრისით:

ორ–მ–ოც–ი

სამ–ოც–ი

ოთხ–მ–ოც–ი

ყურადღება მიაქციეთ მ–ს, რომელიც აერთებს ორ ფუძეს: იგი ნარჩენია –მე– ელემენტისა (ძველ ქართულში იყო: ორ–მე–ოც–ი, სამ–მე–ოც–ი, ოთხ–მე–ოც–ი... გავიხსენოთ გიორგი მერჩულეს ცნობა: გრიგოლ ხანძთელი გარდაიცვალა „ქრონიკონს ოთხმეოცდაერთსა..." ეს –მე– მეცნიერთა ვარაუდით, „-ჯერ" ნაწილაკის მნიშვნელობისაა, უნდა ყოფილიყო (ორჯერ ოცი, სამჯერ ოცი, ოთხჯერ ოცი), რომელიც „ორ–მ–ოც"–ს–ა და „ოთხ–მ–ოც"–ში მ–ს სახით შემოგვრჩა, „სამ–ოც"–ში კი მთლიანად დაიკარგა.

რთული რიცხვითი სახელების დიდი ნაწილი ფუძეთა შესაერთებლად და კავშირს იყენებს: ოც–და–ერთ–ი, ოც–და–ორ–ი, ოც–და–სამ–ი... ოც–და–ათ–ი, სამოც–და–ხუთ–ი, ოთხმოც–და–თხუთმეტ–ი და ა.შ.

თუ კარგად გავიაზრებთ ჩვენი მოთქმულის რიცხვითი სახელების აგებულების თაობაზე, გასაგები გახდება, თუ რატომ თვლიან, რომ ქართული თვლის სისტემა შერეული ტიპისაა: ნაწილობრივ ათობითია (ათ–ერთ–მეტ–ი, ათ–ორ–მეტი, ...ათ–ექვს–მეტ–ი), ნაწილობრივ კი ოცობითი (ოც–და–ერთ–ი, ოც–და–ორ–ი, ოც–და–ცხრა... სამ–ოც–ი, ოთხ–მოც–ი და ა.შ.).

რა ვითარებაა სხვა ენებში?

ათობითი სისტემაა რუსულში, ინგლისურში, ბერძნულში, სომხურში, აზერბაიჯანულში, არაბულში...

ქართველურ ენათაგან თვლის ათობითი სისტემა ახასიათებს სვანურის ორ კილოს (ბალსზემოურსა და ლაშხურს): 10–იემდე (ათი), – 20 – იერვემდე (ორათი), 30– სემეშდ (სამათი)... 90 – ჩხარაამდე (ცხრაათი) და ა.შ. მეგრულ-ჭანურშიცა

9

(გაგრძელება. დას. იხ. „ბე" №3-11, 1997 წ.)

8 ← და სვანურის დანარჩენ კილოებში თვლის სისტემა ქართულისებრია.

(სხვათა შორის, იყო ცდები საერთო ქართულში ათობითი სისტემის შემოღებისა. მაგალითად, 1925 წელს ნ. მუსხელიშვილის, გ. ნიკოლაძისა და ა. ხარაძის მიერ გამოცემულ „მათემატიკური ტერმინების ლექსიკონში" ვხვდებით ასეთ ფორმებს: - სამათი, - სამათერთი... - ოთხათერთი, - ხუთათი და ა.შ. საინტერესოა, რომ მოგვიანებით ა. შანიძემაც გაიზიარა ეს თვალსაზრისი: „ოცდაათის ნაცვლად უთუოდ სამათი უნდა იყოს და შემდეგ და-თი შეერთება სჯობს: „სამათდაერთი, სამათდაორი, სამათდასამი და შემდგომი..." იხ. ა. შანიძე, სალიტერატურო ქართულის საჭირბოროტო საკითხები, თბილისი, 1979, გვ. 125-144).

როგორც აღვნიშნეთ, რაოდენობითი რიცხვითი სახელები შეიძლება არაბული ციფრებით გადმოვცეთ (ალბათ გახსოვთ, რომ ეს ციფრები ინდოელებმა შექმნეს, მაგრამ ევროპაში არაბებმა გაავრცელეს). ძველ ქართულში კი მათი გადმოცემა ძირითადად ასოებით ხდებოდა. ასოთა სისტემით რიცხვების გამოხატვის წესები ჩვენ უკვე შესწავლილი გვაქვს და მათზე აღარ შევჩერდებით. მოგაგონებთ მხოლოდ, რომ 10000-ის აღსანიშნავად - ჵ (ჰოე) გამოიყენებოდა და მას ბევრი ერქვა. ამასთან დაკავშირებით გაგაცნობთ სულხან-საბა ორბელიანის ერთ ჩანაწერს (იგი მას თავის ლექსიკონში აქვს შეტანილი): „...ათეჯერ ბევრი არის ბევრის-ბევრი, ათეჯერ ბევრის-ბევრი არის უშქარი, ათეჯერ უშქარი არის უშტი, ათეჯერ უშტი არის უშტის-უშტი"... მაშასადამე, საბას მიხედვით, 10000-ბევრი, 100000-ბევრის-ბევრი, 1000000-უშქარი, 10000000-უშტი, 100000000-უშტის-უშტი (იხ. სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ტ. II, 1993, გვ. 175).

**რიგობითია** ისეთი რიცხვითი სახელი, რომელიც აღნიშნავს საგნის რიგს: მეორე (სახლი), მეხუთე (სართული), ოცდამეშვიდე (კორპუსი), მეასე (გვერდი) და ა.შ. მისი კითხვაა: მერამდენე?

რიგობითი რიცხვითი სახელი იწარმოება სათანადო რაოდენობითი სახელისაგან მე - ე თავსართ-ბოლოსართის ანუ კონფიქსის დართვით. შდრ.: მე-ჩვიდმეტ-ე და ოცდა-მე-ჩვიდმეტ-ე ან კიდევ: მე-ცხრ-ე და ოცდა-მე-ცხრ-ე. მაშასადამე, რიგობითი რიცხვითი სახელთა წარმოებისას უნდა ვიცოდეთ, რომ მე- თავსართი თავში მოუდის: ყველა მარტივი რაოდენობითი რიცხვითი სახელის ფუძეს (მე-სამ-ე, მე-ექვს-ე, მე-ათ-ე, მე-ოც-ე, მე-ას-ე, მე-მილიონ-ე...), რთული შედგენილობის რიცხვითი სახელებს 11-დან 19-მდე (მე-თერთმეტ-ე, მე-თორმეტ-ე, მე-ცამეტ-ე- მე-ცხრამეტ-ე), აგრეთვე 40-ს, 60-სა და 80-ს (მე-ორმოც-ე, მე-სამოც-ე, მე-ოთხმოც-ე) და ათასით დაბოლოებულ ფუძეებს (ათას-ი – მე-ათას-ე, ორი ათასი-მე-ორიათას-ე, ასი ათასი – მე-ასიათას-ე და ა.შ.).

ყველა დანარჩენი რთული რიცხვითი სახელი რიგობითის მაწარმოებელ მე-ს დაირთავს არა თავში, არამედ – რთული სიტყვის შემადგენელი ბოლო ფუძის წინ: ოც-და-ხუთ-ი – ოცდა-მე-ხუთ-ე ორმოც-და-ათ-ი – ორმოცდა-მე-ათ-ე სამოც-და-თხუთმეტ-ი – სამოც-და-მე-თხუთმეტ-ე ოთხმოც-და-ცხრა – ოთხმოცდა-მე-ცხრ-ე, ორი ათას ცხრა-ას ოც-ი-ორი ათას ცხრაას-მე-ოც-ე და ა.შ.

რიგობით რიცხვით სახელთაგან გამონაკლისია მხოლოდ პირველი, მე-ერთ-ე-ს ნაცვლად, თუმცა რთულ რიცხვით სახელებში სწორედ ეს ფორმაა საჭირო: ოცდა-მე-ერთ-ე, ორმოცდა-მე-ერთ-ე, სამოცდა-მე-ერთ-ე, ათას მე-ერთ-ე და ა.შ.

თუ რაოდენობითი რიცხვითი სახელების (გარკვეული რიცხვის აღმნიშვნელის) გამოხატვა არაბული ციფრებითაა შესაძლებელი (ერთი-1, ხუთი – 5, ოცდახუთი- 25...), რიგობითი რიცხვითი სახელების გადმოცემა რომაული ციფრებით შეიძლება (პირველი, - I, მეხუთე – V, მეცხრე- IX, მეოცე- XX და ა.შ.), რომაულ სისტემაში სულ შვიდი ნიშანია: I(1), V(5), X(10), L(50), C(100), D(500) და M(1000). ამ ნიშანთა კომბინაციით ნებისმიერი რიცხვითი სახელის გადმოცემა შეიძლება ამისათვის უნდა ვიცოდეთ, რომ დიდი ციფრის გამომხატველ ნიშანს ნაკლების გამომხატველი ან მარჯვნივ უნდა მიეწეროთ (თუ მიმატება გვინდა), ან – მარცხნივ (თუ დაკლება დაგვჭირდება). მაგალითად, IV- მეოთხე (ხუთზე ერთით ნაკლები), VI- მეექვსე (ხუთზე ერთით მეტი), VIII - მერვე (ხუთზე სამით მეტი), IX - მეცხრე (ათზე ერთით ნაკლები), XX - მეოცე (ათი და ათი), LX- მესამოცე (ორმოცდაათზე ათით მეტი) და ა.შ.

**წილობითია** ისეთი რიცხვითი სახელი, „რომელიც მთელის ნაწილს რიცხობრივი შეფარდებით გამოხატავს: მესამედი, მეოთხედი, მეთერთმეტედი, მეოცედი, ოცდამეერთედი და სხვ." (ა. შანიძე).

წილობითი რიცხვითი სახელი იწარმოება რიგობითი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმისაგან, რომელიც ფუძედაა გამოყენებული და ხელმეორედაა ნაბრუნები. მაგალითად, რიგობითი რიცხვითი სახელის მე-ხუთ-ე ვითარებითი ბრუნვის ფორმაა მე-ხუთ-ე-დ (სწორედ ესაა წილობითი სახელის ფუძე), რომელსაც ერთვის ბრუნვის ნიშნები: მეხუთედ-ი, მეხუთედ-მა, მეხუთედ-ს...

გამონაკლისი ამ შემთხვევაშიც გვაქვს: სავარაუდო მე-ორ-ე-დ-ი-ს ნაცვლად იხმარება ნახევარ-ი.

თუ რიცხვით სახელებს ფუძის თვალსაზრისით დავახასიათებთ, აღმოჩნდება, რომ თანხმოვანფუძიანია ყველა რაოდენობითი რიცხვითი სახელი, გარდა რვა და ცხრა-სი (ცხადია, ხმოვანფუძიანი იქნება ამ რიცხვით სახელთაგან შედგენილი სხვა სახელებიც, ოცდარვა, ოცდაცხრა, ორმოცდარვა, ორმოცდაცხრა... ოთხმოცდარვა, ოთხმოცდაცხრა და ა.შ.). თანხმოვანფუძიანია აგრეთვე ყველა წილობითი სახელი (მესამედ-ი, მეათედი, ასმეოთხედ-ი...), რიგობითი რიცხვითი სახელები კი (გარდა პირველ-ისა) ხმოვანფუძიანებია.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ლეილა გეგუჩაძე

## როგორ ვასწავლოთ

# დავით გურამიშვილის პოეზიის სწავლების საკითხები

## (წერილი მესამე)

### ძმის სისხლის გამოცხობა

დავით გურამიშვილი ამბობს:

„ვინც ძმის სისხლი გამოიცხოს, ან თვით ძმასა გამოაცხოს,

მისი სული სატანამა, თუ არ კუპრში, რაში გარცხოს?"

ყურადღებას იქცევს სიტყვა „გამოცხობა". რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ ეს სიტყვა წაცხების, წასმის მნიშვნელობით გავიგოთ, მაგრამ ორაზროვანობა გურამიშვილის ფრაზის უარსებითესი მახასიათებელია. ამიტომ ამ ფრაზის პირდაპირი მნიშვნელობის გარდა, დაფარული შინაარსიც გასათვალისწინებელია:

ძმის სისხლის ცოდვად დადება ქრისტიანულ მწერლობაში კაენს უკავშირდება და „კაენური ცოდვა" ჰქვია. ბიბლიის მიხედვით, კაენი მიწათმოქმედი იყო და უფალს მსხვერპლის სწირავდა „ნაყოფთაგან ქვეყნისათა." ძველ აღთქმაში მსხვერპლის ორი სახე არსებობს: სისხლიანი და უსისხლო. უსისხლო მსხვერპლის ყველაზე ცნობილი სახე გამომცხვარი პურია, რაც უპრიანია მიწათმოქმედი კაენისათვის, ხოლო სისხლიანი – ბატკანი, რის შეწირვაც მოსალოდნელი იყო მწყემსი აბელისაგან. კაენი, სხვა მსხვერპლთან ერთად, გამომცხვარ პურს შესწირავს ღმერთს, ვფიქრობთ, მას მიერ ძმის სისხლის ტვირთვა „გამოცხობასთან" ამიტომ დააკავშირა დ. გურამიშვილმა. ამას კიდევ ერთი სტრიქონი გვავარაუდებინებს: „თუ გამწყრალხარ ამაზედა, მე შენ შვიდეულად გიზღო", სადაც „შვიდეული", „შვიდგზისობა" ისევ კაენს უნდა უკავშირდებოდეს. „შესაქმე" გადმოგვცემს: „არა ეგრეთ, ყოველმან მომკლველმან კაენისამან შვიდნი შურის-ძიებანი დაჰხსნეს" (დაბ. 4.15). და „შვიდგზის შური ძიებულ არს კაენისაგან, ხოლო ლამექისაგან – სამეოცდაათ შვიდგზის" (დაბ. 4.24). ეს უკანასკნელი ფრაზა ახალ აღთქმაშიც აისახა, უფალმა პეტრეს კითხვაზე ძმას შვიდგზის მიუტევო, უპასუხა:

„არა გეტყვი შენ, ვიდრე შვიდ-გზისამდე, არამედ ვიდრე სამეოც და ათ შვიდ-გზის" (მათე 18.22). დავით გურამიშვილის წარმოდგენით, შვიდეული ზღვევა და მიტევება კაენსა და მის ცოდვას უკავშირდება, ლამექსა და სხვებს კი სამოცდაათეული შვიდგზის უნდა მიეტევოს. ამიტომ ბუნებრივად გვეჩვენება პოეტის მიერ ძმის სისხლის გამოცხობისა და შვიდეულად ზღვის ურთიერთდაკავშირება.

საქართველო მარილიც სავსე იყო კაენებით, ქართლ-კახეთი ორ მეფეს გაიყო... ძმა ძმის სახრჩობ ხელ-აუკანკალებლად უმტერდა. ორივე საქართლო-საკახეთო „საკეხურო" შენობას ანგრევდნენ, მტერს უხმობდნენ ძმის წინააღმდეგ საბრძოლველად – ეს ყოველივე პოეტის ძმის სისხლით გამოცხობას ჰგავდა და მეტად სტკიოდა გულს ყველას, ვისაც უკვე კიდევ შერჩენოდა სიწმიდის მარცვალი.

### ალმწონელი

„ალიწონებელი" (საბას მიხედვით, „ალწონის მოქმედი"), ფოლკლორული წარმოდგენით უფალია, რომელიც ცოდვა-მადლს სწონის, სულს რომ მიწიერ საქმეთა შესაბამისად მიუზღავს სამუდამო სამკვიდრებელს. დავით გურამიშვილის ნააზრევის მიხედვით, უფალი ისევე აწონის ერის ღირსება-ნაკლოვანებებს, როგორც კონკრეტული პიროვნებისას. ქვეყნის მიწიერ თუ ზეციურ ცხოვრებას ამის მიხედვით დაუდგენს:

„ქართველი მადლის ცოდვამ დასძლია, რა ალმწონელმან აწონა.

წუხებულ იქნენ ლევაწლითა, თავი ვერარვინ აწონა:

მის გამო მტერთა მათზედა დანაცემნა ა წონა"– გვარწმუნებს პოეტი და კიდევ ერთხელ წარმოაჩენს, რომ უფალმა საქართველოს ყოველივე ცოდვით დაცემისა და სიწმიდის დაკარგვისათვის მოუვლინა. ქართველთა შორის ცოდვამ იმძლა, უფლისთვის მოსაწონი ვერარაფერ დარჩა და მტერს დაბრკოლებად ვერარაფერი გადაეღობა, რის შედეგადაც ქვეყანა განადგურდა.

### მტვერი მარილი

დავით გურამიშვილი ამბობს, რომ უფალმა საქართველოს „აღარ სცა მტვერი მარილი, არც ლუკმა პური აწონა".

ახალ აღთქმაში „მარილი" იმ მადლს განასახიერებს, რის გარეშეც ვერც და გემო მოაკლდება წუთისოფელს. უფალი ეუბნებოდა მოციქულებს:

„– თქვენ ხართ მარილნი ქვეყანისანი. უკუეთუ მარილი იგი განქარდეს, რაითა-მე დაიმარილოს?" (მათე 5, 13, ლუკა 14.34).

პოეტის რწმენით, საქართველოს მარილი აკლდა– წმ. ადამიანები აღარ არსებობდნენ, რომლებიც „გემოს მისცემდნენ" აჭაურობას, ანუ უფალთან აღამაღლებდნენ მას. ერთი „მტვერი", ანუ ერთი ნამცეცი მარილიც კი აღარ იყო. ამიტომ „ქართული ლუკმა პური"– ანუ ქართველთა ქვეყანა აღარ მოსწონდა უფალს.

მარილის მოკლებისას სიმყრალე წალეკავს ყოველივეს. ასე მოხდა საქართველოშიც – აყროლდა ქვეყანა (როგორც პირდაპირი, ასევე სიმბოლური მნიშვნელობით: ცოდვათა სიმყრალისაგან): „სუნით მოიცვა მთა-ბარი ჩვენის მკვდრის მძორთა ყროლამა".

საქართველო „მარილის" სახიერიაელოდა, ერის რჩეულმა შვილებმა მისი აუცილებლობა კარგად უწყოდნენ, მაგრამ, ვაი, რომ არავინ ჩანდა ამ მისიის მტვირთველი, „აღარვინ დარჩა ფარსაგი პატრონად, ქვეყნის მამლადი".

### „მეშურნე" და „ხე ვარჯოვანი"

მრავალმხრივ საინტერესო სტრიქონია:

„მას მეშურნესა პირველად არა აქნდა რა ძალები,

გამოაჩინა ბოლოს დროის ფარული დანაკრძალები,

გვიმტყუვნა, ხორცი თვით ჭამა, ჩვენ მოგვიყარა ძვალები,

ხე ვარჯოვანი დაგვეახმო, აყოფა ნაკუნძალები".

„მეშურნე", ანუ „მოშურნე" ქრისტოლოგიაში მიღებულია სატანის ერთ-ერთ სახელად. დ. გურამიშვილის მიერ ამ სტრიქონში გაცხადებულია რწმენა, რომ თავდაპირველად ეშმაკს არ გააჩნია ადამიანის არსებაში შეღწევის ძალა, რადგან კაცი ღვთის ხატება და მსგავსებაა. მას სიკეთე აქვს მიღებული უფლისაგან, ბოროტება კი არარსია. მაგრამ საკმარისია, პიროვნებაში ცოდვამ გადასძლიოს მადლს, რომ სატანა გამოაჩენს შენახულ „დანაკრძალებს" ძალას და დაეპატრონება კაცის სულს– ურწყულ ადგილს. „სახარების" მიხედვით, რადგან მადლიან სულს აქვს „წყალი ცხოველი"– უფლის რწმენა და სასოება, ხოლო ურწყულს – უმადლოსა და უსასოოს ვლოვოხვით ელოდება. სწორედ იგი ხდება ეშმას კერძი.

სატანამ ადამი და ევა შეაცდინა. ამ პირველქაცთა შეცდომის გადმოცის მთელ კაცობრიობაზე, ამიტომ ყველას „გვიმტყუნა" ეშმაკმა– მისი ტყუილის შედეგად კი ადამიანმა დაკარგა სამოთხის მკვიდრობის პატივი, უკვდავება, უხრწნელობა და მიწის, ცოდვის, სიკვდილის მსხვერპლი გახდა. ამას დ. გურამიშვილი ასეთი ფრაზით გამოხატავს:

„ხე ვარჯოვანი დაგვეახმო, აყოფა ნაკუნძალები".

აქ „ხე ვარჯოვანი" სიცოცხლის ხეს გულისხმობს, რომელიც ადამს ბედნიერი ცხოვრების საშუალებას აძლევდა, რაც მთავარია, უკვდავს ხდიდა მას. ეშმამ დაარღვევინა ადამს უფლის მცნება, ურჩობა გამოავლენინა ცნობადის ხის ნაყოფის მიღებით, რის გამოც მოესპო პირველ ადამიანს:

„აწ ნუსადა მიყოს კელი თვისი და მიიღოს ხისაგან ცხოვრებისა და ჭამოს და ცხონდეს უკუნისამდე". ამგვარად დააკარგვინა სატანამ ადამიანს უკვდავება და უხრწნელობა („ხე ვარჯოვანი") და „შეაჩინა სიწუთილი"– უმეცრობა, მძიმე შრომა, ტანჯვა, სიკვდილი– ეს „ნაკუნძალიც" არ არის ცხოვრების ხესთან მიმართებით– ასეთია დავით გურამიშვილის თვალსაზრისი, რაც ამ სტრიქონით გადმოიცა.

**ლელი დათაშვილი**

# სალიტერატურო ენა და ნორმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალიტერატურო ენა სამწიგნობრო ენაა. იმის მიხედვით, თუ რამდენად ძველი და მდიდარია, ერთიანი და დახვეწილია სალიტერატურო ენა, შეიძლება მსჯელობა მისი შემქმნელი და მასზე მოუბარი ხალხის კულტურულ დონეზე თუ ერს სახელმწიფო აქვს, სალიტერატურო ენა სახელმწიფო ენაცაა. სალიტერატურო ენა, ერთი მხრივ, მრავალსაუკუნოვანი კულტურის ნაყოფია, მეორე მხრივ კი მისი შემდგომი განვითარების იარაღი, რომ უკეთ მოემსახუროს ეროვნულ კულტურას, სახელმწიფო ზრუნავს მასზე.

ერთ ენობრივ კოლექტივს სახელმწიფო ენა ერთი აქვს, ის ერის საერთო-ეროვნული ენაა. იგი აერთიანებს მეტყველების ნიუანსების მიხედვით განსხვავებულ კუთხეებს, დიალექტებს, აერთიანებს ამ ცოცხალი ენის სიმრავლეს, ნაირგვარობას, ერთ მთლიანად კრავს მთელ ერს. ეს მისია რომ სათანადოდ შეასრულოს, სალიტერატურო ენა უნდა იყოს დახვეწილი, ყველასთვის სავალდებულო წეს-კანონების მქონე. მართალია, ის მჭიდრო კავშირშია ცოცხალ მეტყველებასთან, განუწყვეტლივ იღებს ლექსიკურ მარაგს დიალექტებიდან, მაგრამ ვერ იღებს დიალექტურ გრამატიკულ ფორმებს, კუთხურ პარალელიზმებს, არქაიზმებს, უხვად შემოსულ უცხოენოვან მასალას. ნაირგვარი ფორმები ამძიმებს ენას, უკარგავს სალიტერატურო ენის აუცილებელ ნიშანს – დახვეწილობას, მოქნილობას, ერის კონსოლიდაციის უნარს. ფორმათა მრავალფეროვნების დაძლევა ხერხდება სავალდებულო წესების შემუშავებით, ნორმების დადგენით. ნორმატიულობა სალიტერატურო ენის აუცილებელი ატრიბუტია. ნორმის ამოცანა არის პარალელიზმების აღკვეთა, ერთი მართებული ფორმის დაკანონება, ფონეტიკურ-ორთოგრაფიული, მორფოლოგიური და სინტაქსური სადავო საკითხების გადაჭრა. ნორმა უზრუნველყოფს სალიტერატურო ენის ერთიანობას.

სალიტერატურო ენის ნორმალიზაცია ჩვენთვის მეტად სერიოზული პრობლემაა. ის ჩვენს სინამდვილეში მოითხოვა. როგორც აკად. ს. ჯანაშია აღნიშნავდა, ევროპული ენებისათვის უჩვეულოა ჩვენებური აქტიური ჩარევა, ნორმების დადგენა სალიტერატურო ენისათვის. იქ ნორმად ის მიიჩნევა, რაც გაბატონებულია (ანუ თუ იმ ფორმის გაბატონება კი სტიქიურად ხდება). ხდება ამ გაბატონებულის დადასტურება და არა ნორმების შემუშავება. ხოლო კონკრეტული სახელმწიფოს მხრიდან მის დაცვასა და გავრცელებაში მდგომარეობს. ქართულ სალიტერატურო ენაში კი გასული საუკუნიდან მოყოლებული ფორმათა და ლექსიკურ ერთეულთა მრავალფეროვნების გამო ძალზე ძნელია, ზოგჯერ შეუძლებელიც კი გაბატონებული ფორმის ჩვენება. ამიტომ მისაღებ ფორმათა დასადასტურებლად სპეციალისტი ენათმეცნიერები საგანგებოდ შეისწავლიან საკითხს და მოძებნიან ამ ენობრივი მოვლენის კანონზომიერების ახსნას. ნორმის, წესის დადგენა კი გრამატიკოსის მოვალეობა არ არის – ენას კანონს ერთი ადამიანის გემოვნებისა და შეხედულების მიხედვით ვერ დაუწესებ, ენა საერთო-სახალხო კუთვნილებაა, ხალხისაა. ამიტომ სპეციალისტის მიერ მოპოვებული ახსნისათვის წესის, ნორმის შემუშავებაში მონაწილეობს სალიტერატურო ენის მომხმარებელთა ფართო წრე: მხატვრული ლიტერატურის წარმომადგენლებიც, ენათმეცნიერიც, პრესის მუშაკიც, სხვადასხვა დარგის მეცნიერებიც და ა.შ.

ცნობილია, რომ ენას საერთოდ და სალიტერატურო ენას კერძოდ, საკუთარი შინაგანი კანონები აქვს, გარედან ვერავინ ვერაფერს მოახვევს თავს. მაშ რაღაა ნორმები, რომლებიც უდგენთ სალიტერატურო ენას? ეს არის თვით ამ ენის განვითარების, მისი შინაგანი კანონზომიერებათა საფუძველზე, ენის ისტორიის გათვალისწინებით შემუშავებული წესები, რომელთა მიზანია სალიტერატურო ენაში გრამატიკული დარღვევების, პარალელური ფორმების, არქაიზმების აღკვეთა ენის, როგორც სისტემის დაცვა.

რას ემყარება ნორმის შემუშავება? ნორმას უდგენთ ენობრივ ფაქტს, ობიექტურ სინამდვილეს. ამდენად, ნორმის შემუშავების ერთადერთი სწორი მეთოდი ობიექტური ანალიზის [illegible] ყოველმხრივ შეისწავლება სადავო ენობრივი ფაქტი, საცილობელ ფორმათა წარმოშობის ისტორია, განვითარების ტენდენციები, თითოეულის გამოყენების არეალი, რომელია უფრო გავრცელებული, უფრო სწორი გრამატიკულად, უფრო მარტივი აგებულების მიხედვით, უფრო ნათელი მნიშვნელობის მიხედვით.

ამ კვლევისათვის ამოსავალია საგანგებოდ შემუშავებული პრინციპები, რომლებიც ეყრდნობა ენის სპეციფიკის შემდეგ ძირითად ნიშნებს: 1) **ენა სისტემაა** – ენობრივ ნიშანთა, ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური ფორმულებისა და პარადიგმების მოწესრიგებული, ორგანიზებული ერთობაა. „სისტემაში... ყოველ აფიქსს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი და ყოველ წარმოებას სათანადო ფორმულა მოეპოვება" („თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები", 1970). თუ ამ მყარ სისტემას სალიტერატურო ენაში არ ექვემდებარება რამე ენობრივი ფაქტი, არღვევს სისტემის შემქმნელ პარადიგმებს, ის სალიტერატურო ენიდან უნდა აღიკვეთოს. ენობრივი სისტემა უნდა მოწესრიგდეს. 2) **ენა ისტორიული მოვლენაა**, რამდენადაც ენობრივი სისტემა ისტორიულად ცვალებადია, ერთი სისტემისთვის კანონიერი ფორმა შეიძლება უცხო გახდეს მეორე სისტემისთვის (მაგ.: ძველი ქართული: წავიდ**ეს** ისინი, ახალი: წავიდ**ნენ** ისინი). 3) **ენა სოციალური** მოვლენაა, ადამიანთა ურთიერთობის საშუალებაა. ენობრივი ფაქტი გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის იხმარება ენობრივი კოლექტივის მიერ, ე.ი. აქვს საზოგადოებრივი აღიარება. სოციალური სანქცია იმდენად ძლიერია, რომ შეიძლება არასწორმა ფორმამაც კი მოიპოვოს ენობრივი კოლექტივის აღიარება და დამკვიდრდეს ენაში (მაგ.: **აღ-მა**-ს ანალოგიით მიღებული უმართებულო ფორმა **და-დ**-მა).

მეცნიერული წანამძღვრები, რომელთაც დღეს ნორმათა დადგენა ემყარება, მიკვლეული იქნა და ჩამოყალიბდა თანდათანობით, მრავალსაუკუნოვანი და განსაკუთრებით ბოლო საუკუნენახევრის დაუღალავი შრომით, ჩვენი ქვეყნის უკეთეს შვილთა ნაზრევის გათვალისწინებით. როგორც აკად. ს. ჯანაშია შენიშნავს, მე-19 ს-ის მეორე ნახევარში დაწყებული ბრძოლა ქართული სალიტერატურო ენის დასახვეწად იმდენად რთული აღმოჩნდა იმ ეტაპისთვის, რომ ამ საქმის თავდადებულმა მებრძოლებმა ვერ მიაღწიეს სალიტერატურო ენის მონოლითურობის აღდგენას. მე-20 ს-ის 10-იან – 20-იან წლებში მოწინავე ქართული საზოგადოება განაგრძობდა ბრძოლას ამ დიდი ეროვნული საქმისთვის. სალიტერატურო ენაზე ზრუნვა, მისთვის სავალდებულო წესების დაკანონება სახელმწიფოებრივ ამოცანად იქნა დასახული. კიდევ უფრო ძლიერდება ეს საქმიანობა 30-იან წლებში. ამ დიდ ეროვნულ საქმეში აქტიურად ჩაერთო სახელმწიფო სტრუქტურებიც. შეიქმნა სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი სახელმწიფო კომისია (1934წ.), რომელიც თუმცა ზოგჯერ ინტერვალებით, მაგრამ მაინც დღემდე მოღვაწეობს. კომისიის მიერ მიღებულ ნორმას კანონის ძალა აქვს, სავალდებულოა ყველასათვის.

ამრიგად, სალიტერატურო ენის დახვეწილობა და ერთიანობა მიიღწევა იმის მეშვეობით, რომ მას უვლიან. მისი ცვლა-განვითარება სტიქიურად კი არ მიმდინარეობს, არამედ გარკვეული ზემოქმედება, სისტემატური კონტროლი ხორციელდება მასზე. ამიტომ სალიტერატურო ენა რამდენადმე ხელოვნურია და კონსერვატულიც იგი ცოცხალ მეტყველებასთან შედარებით ნელა იცვლება, მაგრამ მაინც იცვლება. შეიძლება შეიცვალოს ენობრივი სისტემის ყველა რგოლი – ლექსიკური მარაგიც, სიტყვის ბგერითი მხარეც, სემანტიკაც, შესიტყვების აგებულებაც, ბგერითი შედგენილობაც კი. ცხადია, ცვალებადი სალიტერატურო ენის ნორმები უცვლელი ვერ იქნება – ნორმა ცვალებადია.

ლია ლეჟავა

სამეცნიერო კონტაქტები

# ოლდენბურგის უნივერსიტეტი- ენათმეცნიერთა მორიგი შეკრების მასპინძელი

**Kaukasische Sprachprobleme VII**

Tagung an der Carl von Ossietzky Universität Oldenburg
im Raum A 10-212 oder (bei Bedarf) im Hörsaal F (Zugang über den Haupteingang, Bauteil A 11, von der Ammerländer Heerstraße aus)

გერმანელ ენათმეცნიერთა ინიციატივით დაარსებული კავკასიოლოგთა შეკრება-კონფერენცია „კავკასიური ენობრივი პრობლემები" კვლავაც აქტიურად ემსახურება სხვადასხვა ქვეყნის კავკასიოლოგ-მკვლევართა ურთიერთგაცნობისა და დაახლოების, კვლევის ამ სფეროში სიახლეების წარმოჩენის საქმეს. გერმანია უთუოდ გამორჩეული ქვეყანაა ქართველური და კავკასიური ენებისა და კულტურის კვლევის ძველი ტრადიციითა და მაღალი დონით, მნიშვნელოვან ენათმეცნიერ-ფილოლოგთა მთელი თაობების არსებობით. ამიტომაც სრულიად ბუნებრივია, თუ სწორედ ამ ქვეყანაში ხვდებიან ერთ-ერთი სამეცნიერო დასავლეთის ქართველოლოგები და კავკასიოლოგები და ისიც, რომ აღნიშნულ შეკრებებს სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი. გერმანელ მეცნიერთა ამგვარი ინიციატივა მით უფრო დასაფასებელია და ანგარიშგასაწევია უკანასკნელ წლებში კავკასიაში შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების გათვალისწინებით, მაშინ, როცა ისტორიული მეზობლები ხშირად ერთმანეთის საზღვრების გადალახვას უფრო ძნელად ახერხებენ, ვიდრე შორეული, მაგრამ დალაგებულ და 21-ე საუკუნეში მცხოვრებ ევროპულ ქვეყანაში ერთურთმეხვედრას.

ამჯერად ენათმეცნიერთა შეკრებას ოლდენბურგის უნივერსიტეტმა უმასპინძლა. ამ უნივერსიტეტში მოღვაწეობს ცნობილი ქართველოლოგი, პროფ. ვინფრიდ ბოედერი, ვისი წყალობითაც გერმანიის პატარა ჩრდილოეთური ქალაქი ოლდენბურგი ბოლო წლებში ქართველ და კავკასიელ მკვლევართათვის მსოფლიოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გეოგრაფიულ პუნქტად იქცა. სწორედ ბატონი ვინფრიდის და მისი ოჯახის დამსახურებაა ამ შეკრების ბრწყინვალე ორგანიზაცია, მაგრამ ამაზე - ცოტა ქვემოთ.




კონფერენცია მიმდინარეობდა ორ დღეს, 22-23 ნოემბერს. წლევანდელი კონფერენციის თემატიკა, შეიძლება ითქვას, უპირატესად ქართველოლოგიური შინაარსისა აღმოჩნდა, მაგრამ ამ მრავალთემატურ მოხსენებებში ასევე ხშირად ფიგურირებდა მთის კავკასიური ენების მასალა.

უპირველესად უნდა აღინიშნოს უცხოელ ქართველოლოგთა მოხსენებები. ჰაინც ფენრიხის (იენა) მოხსენება შეეხებოდა ქართული ლექსიკური ნასესხობების ადგილს წოვა-თუშურში. მანფრედ ოიზბა (მარბურგი) წარმოადგინა დაკვირვებანი ინდოევროპულ-კავკასიური ურთიერთსაზიარო ფუძეების შესახებ და ორიგინალურად დასვა რამდენიმე სიტყვის ეტიმოლოგიის საკითხი. იოსტ გიპერტის (მაინის ფრანკფურტი) მოხსენება ეხებოდა წმინდა ნინოს ლეგენდის წყაროებს და ზუსტად იყო მიგნებული ზოგიერთი ტექსტობრივი ანომალიის წყარო. ვი-... ბოედერმა წარმოადგინა ხევსურული ზღაპრების ტექსტების ... ჰარის ნაცვალსახელთა ანაფორული გამოყენების თვალსაზრისით. ხოლო პოლონელმა მეცნიერმა ვიტოლდ სტეფანსკიმ ძალზე ორიგინალური კუთხით წარმოადგინა მოსაზრებანი „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟთა „სიმეტრიის" შესახებ ისტორიულ სინამდვილესთან მიმართებით.

ქართველი მომხსენებლები ასევე მრავალფეროვანი თემატიკით წარდგნენ კონფერენციაზე. ალ. ჭინჭარაულის მოხსენება (კონფერენციის ორივე დღეს) შეეხებოდა ნახურისა და მთის კილოთა საურთიერთო ლექსიკურ ნასესხობებსა და ხევსურული ნატერლების თავისებურებებს. ზურაბ სარჯველაძემ წარმოადგინა ქართველურ ენათა რამდენიმე ლექსიკური ერთეულის ეტიმოლოგიური ანალიზი. ავთანდილ არაბულის მოხსენებაში განხილული იყო არქაული ელემენტების საკითხი ხალხურ პოეზიაში და ნათესაობის ტერმინთა წარმომავლობისა და სისტემის საკითხები მთის დიალექტებში. ნინო დობორჯგინიძემ წარმოადგინა ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ტექსტების კვლევის მნიშვნელოვანი შედეგები ბერძნულ და სომხურ წყაროებთან მიმართებით. ასევე კონფერენციაზე ქეთევან დათუკიშვილმა წარმოადგინა ანგარიში იმ ერთობლივი მუშაობისა, რასაც იგი ნინო ჭუმბურიძესა და ნანა ლოლაძესთან ერთად იოსტ გიპერტის ხელმძღვანელობით ასრულებდა ძველი ქართული ტექსტების კომპიუტერული დამუშავების მიზნით.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ბატონი თამაზ გამყრელიძის აქტიური მონაწილეობა კონფერენციის მუშაობის პროცესში, რამაც ერთგვარად განსაზღვრა საერთო დონე ამ შეკრებისა, რომელსაც, სამწუხაროდ, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ესწრებოდა მისი ერთ-ერთი ფუძემდებელი - კარლ-ჰორსტ შმიდტი.

როგორც ითქვა, ამ კონფერენციის იდეალური საორგანიზაციო მხარე ამჯერად მთლიანად პროფ. ვინფრიდ ბოედერის დამსახურებაა. მეტიც, მეცნიერის ოჯახი, განსაკუთრებით ქალბატონი დორის ბოედერი, მთელ კონფერენციას მოევლინა საოცრად თბილი და უშუალო გერმანულ-ქართული სტუმართმასპინძლობის ნიმუშად. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ბოედერების ოჯახის ფართო საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და მეცენატობის გამონაკლისი შემთხვევა არ არის, და ეს მაღალი დონის მეცნიერული შეკრებაც უპირველესად მათი მოღვაწეობის ნუსხაში შევა მნიშვნელოვან ფაქტად და თარიღად.

## ინფორმაცია

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფილოლოგიის მეცნიერებათა დარგის სადისერტაციო საბჭომ (თავმჯდომარე პროფ. მ. შანიძე) მიანიჭა

**ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის**

სამეცნიერო ხარისხი **ემზარ ბელიძეს**

**დისერტაციის თემა**– ძველი ქართული სალიტერატურათმცოდნეო ტერმინოლოგია

**ოფიციალური ოპონენტები**– პროფ. ცაცა ქურციკიძე, პროფ. დამანა მელიქიშვილი, პროფ. რევაზ სირაძე

**წამყვანი ორგანიზაცია**– შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

დისერტაციის დაცვა გაიმართა **1997 წლის 18 ნოემბერს.**

* * *

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ფილოლოგიის მეცნიერებათა დარგის სადისერტაციო საბჭომ (თავმჯდომარე პროფ. **გ. კვარაცხელია**) მიანიჭა

**ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის**

სამეცნიერო ხარისხი

**ლევან ფანჩულიას**

**დისერტაციის თემა** – კავშირები ზანურ ენაში

**სამეცნიერო ხელმძღვანელები**– პროფ. ბესარიონ ჯორბენაძე, დოც. რევაზ შეროზია

**საბჭოს ექსპერტი**– პროფ. იზაბელა ქობალავა

**ოფიციალური ოპონენტები**– პროფ. ისა ჩანტლაძე, დოც. ამირან ლომთაძე

**წამყვანი ორგანიზაცია** – ა. წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა გაიმართა **1997 წლის 25 ნოემბერს**

**ლალი ბინიაშვილს**

**დისერტაციის თემა**– სამოსელის აღმნიშვნელი ლექსიკა ძველ ქართულში

**სამეცნიერო ხელმძღვანელი** – დოც. ირინე ქურქიძე

**საბჭოს ექსპერტი**– პროფ. თედო უთურგაიძე

**ოფიციალური ოპონენტები** – პროფ. ნინო მელიქიშვილი, დოც. მარინე ბერიძე

**წამყვანი ორგანიზაცია**– თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა გაიმართა **1997 წლის 16 დეკემბერს**

**1997 წლის 2 დეკემბერს არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში გაიმართა ცნობილი ქართველი ენათმეცნიერის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ ილია ცერცვაძის დაბადებიდან მე–80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, რომელიც გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა პროფ. გ. კვარაცხელიამ.**

**პროფ. ილია ცერცვაძის ცხოვრებისა და სამეცნიერო–პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ ისაუბრა პროფ. გ. ბურჭულაძემ.**

**სამეცნიერო მოხსენებები წაიკითხეს ალ. მაპომეტოვმა, გ. თოფურიამ, ქ. ლომთათიძემ, ო. კახაძემ, კ. ჭრელაშვილმა, ე. ოსაძემ, ბ. შავხელიშვილმა, ნ. ჭოხონელიძემ, ვ. შენგელიამ, ნ. არდოტელმა, ბ. ცხადაძემ, მ. თანდაშვილმა, რ. აბაშიამ.**

**მეგობრებმა და მოწაფეებმა გულთბილად მოიგონეს ბატონი ილია ცერცვაძე. სესიის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს მადლობა გადაუხადა გია ცერცვაძემ – ბატონი ილიას ვაჟმა.**

* * *

70 წელი შეუსრულდა ცნობილ ქართველ ენათმეცნიერს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გივი მაჭავარიანს, უდროოდ გარდაცვლილი სწავლულის (ბ-ნი გივი 40 წლის ასაკში გარდაიცვალა) ქართული მეცნიერების წინაშე დიდ დამსახურებასა და ღვაწლს მიეძღვნა სამეცნიერო სესია, რომელიც გაიმართა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1997 წლის 8–10 დეკემბერს. სესიის ორგანიზატორები იყვნენ თსუ ზოგადი ენათმეცნიერების კათედრა და არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. სესიაზე შესავალი სიტყვა თქვა პროფ. გ. რამიშვილმა. სამი დღის მანძილზე წაკითხულ იქნა 30-მდე სამეცნიერო მოხსენება. სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები გამოქვეყნდა.

* * *

**პროფ. გ. მაჭავარიანის 70–ე წლისთავს მიეძღვნა სამეცნიერო სესია თბილისის სულხან–საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში, რომელიც 1997 წლის ნოემბერს გაიმართა. სესია გახსნა პროფ. ზ. სარჯველაძემ. სესიაზე სიტყვები წარმოთქვეს და მოხსენებები წაიკითხეს თ. გამყრელიძემ, ალ. ღლონტმა, ალ. ონიანმა, გ. კარტოზიამ, ე. სოსელიამ, ი. მელიქიშვილმა, ზ. სარჯველაძემ. სესიაზე ფართოდ გაშუქდა პროფ. გ. მაჭავარიანის დამსახურება ქართული მეცნიერების წინაშე.**

* * *

1997 წლის 24–25 ოქტომბერს ქ. თელავში გაიმართა XVII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა პროფ. თ. უთურგაიძის დაბადების 70 წლისთავს. სესიის ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ენის მეცნიერული შესწავლის საბჭო, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი და თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა თელავის პედინსტიტუტის რექტორმა პროფ. როინ ჭიკაძემ. სესიაზე წაკითხული იქნა 40-მდე სამეცნიერო მოხსენება.

მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები გამოქვეყნდა.

* * *

**1997 წლის 25–26 დეკემბერს არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში გაიმართება ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების IV სამეცნიერო კონფერენცია. სხდომები დაიწყება 11 საათზე.**



# ანბანი

## ორფევსი და ევრიდიკე

(მეთორმეტე ნაწილი)

ორფევსმა საბედისწერო შეცდომა დაუშვა. ასეთი შეცდომა სამუდამოდ აკარგვინებდა ევრიდიკეს.

დამწუხრებული ჭაბუკი ფიქრობდა, კიდევ ერთხელ ეთხოვა ჰადესისათვის ცოლის დაბრუნება, რისთვისაც სტიქსის გადალახვა იყო საჭირო. მაგრამ ქარონმა ამჯერად იგი აღარ გადაიყვანა მეორე ნაპირზე.

არადა ორფევსს რომ სიფრთხილე გამოეჩინა, მას ხომ ცოტა ხნის წინ მხოლოდ ერთი ნაბიჯი აშორებდა დედამიწას და ზუსტად ამდენი – დიდ ბედნიერებას.

1. არსებითი, ზედსართავი და რიცხვითი სახელის ნაცვლად ხშირად **ნაცვალსახელი** იხმარება.

ტექსტში მოძებნე და ცარიელ უჯრებში ჩაწერე სახელები, რომლებსაც მოცემული სიტყვები ცვლის.

| | |
|---|---|
| ასეთი | – □□□□□□□□□□□ |
| იგი | – □□□□□□ |
| ამდენი | – □□□□ |

ოთხკუთხედში ჩასმული სიტყვები ნაცვალსახელებია და იმავე კითხვებზე მოგვიგებს, რაზედაც შენ მიერ ცარიელ უჯრებში ჩაწერილი შესაბამისი სახელები. აღნიშნე ზეპირად, რა კითხვებია ესენი?

2. ცარიელ უჯრებში ჩაწერე გამოტოვებული სიტყვე-

# ხვითო

შემეცნებითი თამაში ქართული ენის სახალისო ფონეტიკის, გრამატიკის, ლექსიკოლოგიისა და სტილისტიკის ელემენტებით.

ბი: □□ ვკითხულობ ბერძნულ მითს. □□□ მისმენ და □□□ ურჩევ, რომ მომისმინოს. ახლა □□□□ სამივემ ვიცით ეს მითი. □□□□□ სხვებსაც ვუბნებით, რომ ეს საინტერესოა. □□□□□ გვეთხოვენ, რომ მათაც წავუკითხოთ.

ცარიელ უჯრებში ჩაწერილი სიტყვები პირის **ნაცვალსახელებია** . შინაარსის მიხედვით ნაცვალსახელთა სხვა ჯგუფებიც გამოიყოფა. მაგალითად, ჩვენებითი: ეს, ეგ, ის, იგი..., კუთვნილებითი: ჩემი, შენი, მისი... და სხვა.

3. ქართულ ენაში არსებული სიტყვების მთელი მარაგი ათ ჯგუფად იყოფა. ხუთ ჯგუფს ჩვენ უკვე გაეცანით, ესენია: 1. არსებითი სახელი, 2. ზედსართავი სახელი, 3. რიცხვითი სახელი, 4. ნაცვალსახელი, 5. ზმნა.

ათივე ჯგუფს ერთად **მეტყველების ნაწილებს** უწოდებენ.

მითის ამ მონაკვეთის სიტყვები დაალაგე მეტყველების ნაწილებად და შეავსე ცხრილი.

| არსებითი სახელი | ზედსართავი სახელი | რიცხვითი სახელი | ნაცვალსახელი | ზმნა |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

# დამდეგ შობა-ახალწელს გილოცავთ ძვირფასო მკითხველებო!

## ახალი წიგნები

# აბიტურიენტებისა და უფროსკლასელთათვის

### ბესარიონ ჟორბენაძის საზოგადოებამ გამოსცა




იოანე საბანის ძის
„აბოს წამება".
ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და ლექსიკონი დაურთო ნინო ჭუმბურიძემ; იდეურ-მხატვრული ანალიზი ხვთისო ზარიძისა.

* * *

ვაჟა-ფშაველას
ლექსები.
იდეურ-მხატვრული ანალიზი თამარ შარაბიძისა






* * *

ნიკო ლორთქიფანიძის
„თავსაფრიანი დედაკაცი", „ტრაგედია უგმიროთ".
იდეურ-მხატვრული ანალიზი ავთანდილ ნიკოლეიშვილისა.

* * *

გიორგი ლეონიძის
ლექსები.
იდეურ მხატვრული ანალიზი ავთანდილ ნიკოლეიშვილისა.







* * *

ილია ჭავჭავაძის
ლექსები.
იდეურ-მხატვრული ანალიზი ლადო მინაშვილისა.

ი. ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველასა და გ. ლეონიძის კრ... ბულებში დაბეჭდილია და განხილული ის ლექსები, რო... მლებიც უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა... თვისაა სავალდებულო.

ამ წიგნების შეძენა შეგიძლიათ ბ. ჟორბენაძის საზო... გადოებაში (პ. ინგოროყვას ქ. №8, ოთახი №103) და თბი... ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსში (ი. ჭა... ვჭავაძის პრ. №1, ოთახი №130).





თუ ხართ ქართული ენის გულშემატკივარი, თუ გიყვართ ქართული ლიტერატურა, თუ გაინტერესებთ ჩვენი სკოლის ბედი, გამოიწერეთ გაზეთი

„ბურჯი ეროვნებისა"